შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია 2020 წლის 16 იანვრის აკადემიური
საბჭოს N2-2020 დადგენილებით

მოდიფიცირებულია 2023 წლის 25 აპრილის აკადემიური საბჭოს
N06-2023 დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

1.1. აკადემიური მოსწრების ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური მოსწრების ანალიზით ხდება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა, რაც საჭიროებს პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების დინამიკის შესწავლას. აკადემიური მოსწრების ანალიზით დგინდება, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამა, რამდენად მართებულადაა შერჩეული შესასწავლი თემები, შეფასების რამდენად ადეკვატური ფორმებია გამოყენებული აკადემიური პერსონალის მიერ და რამდენად მაღალია სტუდენტთა მომზადების დონე. აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის თჰუ-ში გამოიყენება ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებადი და ფართოდ გავრცელებული მიდგომა, ნორმალური განაწილება (იგივე გაუსის განაწილება), რაც ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული გარკვეული ტიპის შემთხვევითი სიდიდეების საშუალო არითმეტიკული მიისწრაფის სტანდარტული ნორმალური განაწილებისკენ, პრაქტიკულად კი ეს ნიშნავს, რომ იმ აკადემიური მოსწრების განაწილება, რომლებზეც ბევრი დაახლოებით ერთნაირი ფაქტორი მოქმედებს, შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტულ ნორმალურ განაწილებად. აღნიშნულის საფუძველზე სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონებია:

10%	„A“ - ფრიადი

25%	“B”- ძალიან კარგი
30%	“C” -კარგი
25%	“D” - დამაკმაყოფილებელი
10%	“E” -საკმარისი

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულია სტუდენტთა რანჟირების სკალა, რომელიც პრინციპში ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას: საუკეთესო სტუდენტების (ყველაზე მაღალქულიანი) რაოდენობა საერთო რაოდენოების 10%–ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%–30%–25%–10%. რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი ნიშნები კი – სტუდენტთა შესაბამისად 10–10%–ს.
აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

- კრედიტების/საათების განაწილება დროში;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- თემატიკა;
- მოცულობა;
- შეფასების ფორმები და მეთოდები;
- ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ

1.2. სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორია სწავლის შედეგების რუკა, რაც იძლევა პროგრამის და სასწავლო კურსების/მოდულების სწავლის შედეგების დადარების საშუალებას. კურიკულუმის რუკა, თვალნათლივ აჩვენებს რომელი კურსით/კურსებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველყოფა.

1.3. რუბრიკები

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ინსტრუმენტია რუბრიკა და გამოიყენება, როგორც განმავითარებელი, ისე შემაჯამებელი შეფასებისთვის. ანალიზის სხვადასხვა მიზნებისათვის გამოიყენება ჰოლისტიკური ან/და ანალიტიკური რუბრიკები. თითოეული რუბრიკა მოიცავს კრიტერიუმებს და კრიტერიუმის შესაბამის ქულას, მაგალითად:

A - ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება

B - ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება

C - ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება

D - ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება

E - ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება

F - ინდიკატორით განსაზღვრული უნარის მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის შესაძლებლობების არქონის ჩვენება.

1.4. შეფასების ხერხები

ითვალისწინებს უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მონაცემთა მოგროვებას და დამუშავებას, რათა განისაზღვროს პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თოთოეულ სწავლის შედეგს და დადარდეს სამიზნე ნიშნულებს.
გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებისმეთოდოლოგია

- პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია წერითი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი , პრაქტიკული პროექტი და სხვა.

- არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა.

2. სამიზნე ნიშნულები და შედეგების შეფასების მონიტორინგი

2.1. სამიზნე ნიშნულები: პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება; ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

- კრედიტების/საათების განაწილება დროში;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- თემატიკა;
- მოცულობა;
- შეფასების ფორმები და მეთოდები;
- ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ

2.2. სამიზნე ნიშნულებთან დადარება ხდება მონიტორინგის შედეგების და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესზე ან რეგრესზე დაკვირვების მიზნით.

3. სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა

3.1. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა ხდება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგებისა სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე, რომლის მიხედვით შეფასება ხდება იმ სემესტრის ბოლოს სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი; ეფუძნება კურიკულუმის რუკას და მის საფუძველზე შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების გეგმას; სტუდენტთა მიღწევებს; გამოკითხვის შედეგებს; შედეგებისა და სამიზნე ნიშნულის შესაბამისობას.
3.2. სწავლის შედეგების შეფასება შეიძლება განხორციელდეს წელიწადში ერთხელ.

4. შედეგების განხილვა და რეაგირება

დინამიკაში დაკვირვების შედეგად თუ სამიზნე ნიშნულებთან დადარებით გამოვლინდება რეგრესი, მოხდება სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირება.